ბრძანება:**ბ28. 28223252**
თარიღი:**21/11/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა

საბჭოს შექმნის და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 მაისის №ბ28.282114114 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 86[1] მუხლის პირველი ნაწილისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 მაისის №ბ28.282114114 ბრძანების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1) მანუჩარ რობაქიძე - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - საბჭოს თავმჯდომარე;

2) მაკა ასათიანი -მერის მდივანი- საბჭოს მდივანი;

3) მაია შარიქაძე - (ექიმი)- საბჭოს წევრი;

4) ელისო მურადაშვილი - სკოლის დირექტორი, მეწარმე -საბჭოს წევრი;

5) მევლუდი გეწაძე - ადგილობრივი მეწარმე/ბიზმესმენი -საბჭოს წევრი;

6) შალვა ჯიშიაშვილი -სსიპ ლიბერთი ბანკის მმართველი - საბჭოს წევრი;

7) მაია ჭანკვეტაძე -თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოს ბაღის დირექტორი - საბჭოს წევრი;

8) ალექსი ცქიფურიშვილი- ადგილობრივი ბიზნესმენი- საბჭოს წევრი;

9) გიორგი თურქაძე- თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის -შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი**-** -საბჭოს წევრი;

10) მარიამ ბუსკივაძე -სტუდენტი -საბჭოს წევრი;"

მუხლი 2. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო

მუხლი 3. საბჭოს სხდომის ორგანიზების, სხდომის ოქმის შედგენის, გაფორმების და სხვა ორგანიზაციული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს მდივნად დაინიშნოს -მერის მდივანი - მაკა ასათიანი.

მუხლი 4. ბრძანება ჩაბარდეს მრჩეველთა საბჭოს წევრებს;

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

მუხლი 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოვალეობის შემსრულებელი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი